

ა(ა) ი პ  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

18 02 2013 № 27

თბილისი


სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2013 წლის 12 თებერვლის №98/16-01 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. დამტკიცდეს ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილისათვის წაყენებული მოთხოვნებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი დანართი №2-ს შესაბამისად;
3. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2013 წლის 20 თებერვალს და დასრულდეს 2013 წლის 21 მარტს. საბუთები მიიღება ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში. (მის: კოსტავას ქ. 68, სტუ-ს პირველი სასწავლო კორპუსი. ტელ. 233-08-36. 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. კონსურსი შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2013 წლის 31 მარტისა.
5. განაცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.


რექტორი



ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

იურიდიული დეპარტემენტის  
უფროსი ბ. მაისურაძე



ინსტიტუტის საშტატო განრიგის მიხედვით საკონკურსო სამეცნიერო თანამდებობების ჩამონათვალი და ადგილების რაოდენობა, სამეცნიერო მიმართულების პროფილების მიხედვით;

№	სამეცნიერო მიმართულების პროფილი	სამეცნიერო თანამდებობების რაოდენობა		
		მეც. მთავარი თანამშრომელი	მეც. უფროსი თანამშრომელი	მეც. თანამშრომელი, კონსტრუქტორი
1	2	3	4	5
1	მიწისზედა და კოსმოსური საინჟინრო კომპლექსები, მათი კონსტრუირების და გაანგარიშების საფუძვლები და ექსპერიმენტალური კვლევები.	1×0,5	3×1 3×0,5	4×1
2	მიწისზედა და კოსმოსური საინჟინრო კომპლექსების კომპიუტერული გაანგარიშების საფუძვლები		1×0,5	
3	საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ხელოვნება		1×1	
4	ტრანსფორმირებადი სისტემების მექანიზმების და მანქანების თეორია.		2×0,5	

ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილისათვის წაყენებული მოთხოვნებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

- დასაკავებელი სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი ხარისხი;
  - მთავარ მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი;
  - უფროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი;
  - მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
- არჩეული პროფილის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი მოღვაწეობის დამადასტურებელი ინფორმაცია;
- გამოცემული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს;
- არჩეული პროფილის შესაბამისი შრომების ასლი;
- სახელმწიფო პროგრამებით დანერგილი სამუშაოების ჩამონათვალი (მათ შორის აღნიშნული პროფილით, საზღვარგარეთის შეკვეთები, საზღვარგარეთთან ერთობლივი სამუშაოები, საქართველოში შეკვეთილი დეპონირებული საინიციატივო სამუშაოები);
- პროფილის მიხედვით ჩატარებული სამუშაოების ჩამონათვალი;
- საავტორო უფლებები: აღმოჩენაზე (დიპლომი), გამოგონებაზე (საავტორო მოწმობა ან პატენტი);
- ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო და სხვა პროექტებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საქმიანობით მიღებული შედეგები, რომლებმაც მოიპოვა აღიარება;
- მონოგრაფია;
- მოპოვებული პრემიები: სახელმწიფო სამეცნიერო პრემია, დარგობრივი სამეცნიერო პრემია;
- სახელმწიფო მიზნობრივ პროექტებში მონაწილეობა;
- აკადემიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა;
- სახელმწიფო ჯილდოები;
- უცხო ენების ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამებისა და თანამედროვე საინფორმაციო-ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა (საოფისე – Word, Excel; გრაფიკული – AutoCAD, Inventor და სხვ.; გამომთვლელი – Lira, Ansys, MSC Nastran).

შენიშვნა: 1. გრაფიკული პროგრამების ცოდნა მოეთხოვება მეცნიერ თანამშრომელი-კონსტრუქტორის თანამდებობის მსურველ კონკურსანტს;

2. გამომთვლელი პროგრამების ცოდნა მოეთხოვება საინჟინრო ნაგებობების კომპიუტერული გაანგარიშების სპეციალისტს უფ. მეცნ. თანამშრომელს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება (ფორმას გასცემს ინსტიტუტი);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია;
- სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დიპლომის ასლი;
- სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი ანკეტა (ფორმები გაიცემა საკონკურსო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (ქსეროასლი);